ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
ავეჯის (CPV39100000) სახელმწიფო შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაცია

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

ქ.თბილისი
2015 წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია *(გვერდი 3)*
2. დანართი N1 *(გვერდი 5)*
3. დანართი N2 *(გვერდი 6)*
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი *(გვერდი 7)*

ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. შესყიდვის ობიექტი: ავეჯი.

2. ტექნიკური დავალება:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, ხარისხობრივი პარამეტრები და რაოდენობა:

№	დასახელება	აღწერილობა (ტექნიკური მახასიათებლები)	რაოდენობა (ცალი)
1	საოფისე სავარძელი N1	გორგოლაჭებიანი სავარძელი, ქრომირებული ფეხებით და სახელურებით, ბადიანი ზურგით. სიმაღლისა და ზურგის მარეგულირებელი მექანიზმით, რომელიც ფიქსირდება საწყის პოზიციაში. გაბარიტული ზომები: სიმაღლე მაქსიმალური - 103სმ, სიმაღლე დაწეულ მდგომარეობაში - 96სმ; სიგანე - 56სმ, სიღრმე - 60სმ; ზურგის სიმაღლე - 53სმ, სიგანე - 45სმ; დასაჯდომის სიგანე-50სმ, სიღრმე - 50სმ; სახელურის სიგრძე - 38სმ, სახელურის სიმაღლე - 24სმ, სახელურის სიგანე - 5სმ, ფეხის დიამეტრი - 55სმ. ფერი: შავი. **სურათი №1;**	20 ცალი
2	სკამის დაფა N2	**დაფის მახასიათებლები:** პლასტიკური მასალის, მეტალის მექანიზმით სკამზე დასამაგრებლად. **დაფის ზომები:** სიგრძე 35,5სმ, სიგანე 21სმ, მეორე 27სმ. სახელურებს შორის დაშორება 19,5სმ. სახელურის სიმაღლე 25სმ. **სურათი №2.**	25 ცალი

2.2 ტექნიკური დავალების სავალდებულო მოთხოვნები:

2.2.1 ავეჯი უნდა იყოს სრულიად ახალი.

2.2.2 მოთხოვნილ ავეჯზე უნდა გავრცელდეს მინიმუმ, ექვსითვიანი გარანტია შემდეგი პირობებით: ქარხნული წუნის (დაზიანების) შესახებ, ან პროდუქციის მწყობრიდან გამოსვლის შესახებ (გარდა შემსყიდველის მიერ პროდუქციის არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევისა, რაც გამოწვეულია პროდუქციაზე ფიზიკური ზემოქმედებით) შეტყობინების მიღებიდან პროდუქტის შეკეთება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ მიმწოდებლის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღეში.

2.2.3 იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული საქონელი გამოდგება უხარისხო/ქარხნული წუნით ან სხვა ობიექტური მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს, მიმწოდებელმა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მესამე დღისა უნდა ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი, ახალი შესაბამისი საქონელით.

3. სატენდერო წინადადების ფასი:

3.1 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება გაანგარიშებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშო დღის ვადაში.

4.2 დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

4.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი:

5.1 მოსაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური დავალებაში მოცემულ მახასიათებლებს.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 10 სამუშაო დღეში.

5.3 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის №29 ან ნოდარ ბოხუას №19.

6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ასატვირთი დოკუმენტები:

6.1 რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად.

6.2 აღნიშნული პროფილით მუშაობის არანაკლებ ბოლო 2 წლის გამოცდილება (წარმომადგენლობაზე უფლებამისილი პირი წერილობით ადასტურებს ამ ინფორმაციას და თან ურთავს 2014-2015 წლის მანძილზე თითოეული წელს მისი კონტრაქტორი ხუთი ორგანიზაციის დასახელებას და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს);

6.3 ხარჯთაღრიცხვა (ფასების ცხრილი) დანართი №2 (აუცილებლად უნდა შეივსოს ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყნის შესახებ).

7. ნიმუშების წარმოდგენა და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება:

7.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშები, როდესაც ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი „შერჩევა-შეფასება“, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3(სამი) დღეში.

7.2 თუ ტენდერში პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში წარმოადგინოს ანგარიშფაქტურები (ინვოისები), ან სხვა ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

8. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო პირისგან:

8.1 სატენდერო კომისიის აპარატის წევრი -დავით დახუნდარიძე ტ: 238 11 61; ddakhundaridze@hsoj.ge

9. დამატებითი პირობები

9.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

9.2 აღნიშნულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ სრულად ეთანხმება ამ კონკრეტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

9.3 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ქართულ ენაზე.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება ან ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

9.5 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის განხორციელება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სატენდერო წინადადების დანართი №1 (რეკვიზიტები)

გრაფა №1	**გრაფა №2** *(ივსება პრეტენდენტის მიერ)*
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელ-ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
მომსახურე ბანკის კოდი:	
ანგარიშსწორების ანგარიში:	

პრეტენდენტის ხელმოწერა: ----------
(ხელმძღვანელი)
დამოწმება ბეჭდით:
(მისი არსებობის შემთხვევაში)

ხარჯთაღრიცხვა (ფასების ცხრილი)
(პრეტენდენტის მიერ შესავსები ფასების ცხრილი)

დანართი №2
პრეტენდენტის დასახელება _____

№	დასახელება	აღწერილობა *(ტექნიკური მახასიათებლები)*	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)	მწარმოებელი ქვეყანა
1						
2						

პრეტენდენტის ხელმოწერა: ----------
(ხელმძღვანელი)
დამოწმება ბეჭდით:
(მისი არსებობის შემთხვევაში)

ხელშეკრულების პროექტი
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
სატენდერო განცხადების ნომერი: SPA

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრედენდენტთან ხელშეკრულების დადების პროცესში

ქ. თბილისი ... 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, მისი დირექტორის, ---------- სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორე მხრივ, ----- , მისი დირექტორის, ------- სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) ავეჯის **(CPV39100000)** შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
1.2 შესყიდვის წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
1.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ, აგრეთვე ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 10 სამუშაო დღეში.
3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის №29 ან ნოდარ ბოხუას №19.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით.
5.2 ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვა) წარდგენიდან არაუგვიანეს 15 სამუშო დღეში.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის გარანტია

6.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება 6 თვიანი გარანტია. გარანტიის ვადის ათვლა იწყება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.
6.2 გარანტიის პირობები: ქარხნული წუნის (დაზიანების) შესახებ, ან პროდუქციის მწყრობრიდან გამოსვლის შესახებ (გარდა გაუფრთხილებლობით გამოწვეული დაზიანებისა) შემსყიდველის მიერ შეტყობინების მიღებიდან პროდუქტის შეკეთება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ დაზიანების იდენტიფიცირებიდან არაუგვინეს 10 დღეში.
6.3 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს დეფექტის, ქარხნული წუნის (დაზიანების) აღმოჩენის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მესამე დღისა უნდა ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი, ახალი შესაბამისი საქონელით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

გ) ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის წუნის შესახებ.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად დროულად აღმოფხვრას შესყიდვის ობიექტის წუნი;

გ) ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.

8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა,

ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა).

10.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

10.6 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მოლაპარაკების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2 ხელშეკრულების მე–6 მუხლი ძალაშია შესყიდვის ობიექტის მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

სურათი N1

სურათი N2